„ალტე უნივერსიტეტის“

ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების წესი

(დამტკიცებულია „ალტე უნივერსიტეტის“ დირექტორთა საბჭოს 2026 წლის 7 აპრილის სხდომის ოქმით)

შესავალი:

წინამდებარე წესი (შემდგომში „**წესი**“) არეგულირებს ალტე უნივერსიტეტის (შემდგომში „**უნივერსიტეტი**“) საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმი, რომლებიც განისაზღვრება წინამდებარე წესით და რეგულირდება შემდეგნაირად:

1. გადასახადის გადანაწილების წესი

1.1 უნივერსიტეტი სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს აკადემიური წლის სწავლის გადასახადი დაყოს რამდენიმე ნაწილად. სწავლის გადასახადის დაყოფის და გადახდის გეგმა **უნივერსიტეტსა** და სტუდენტს შორის თანხმდება სტუდენტური პორტალის საშუალებით.

1.2 გადახდის გრაფიკის შეთანხმება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ხორციელდება სტუდენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცესში და ავტომატურად ახლდება ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში.

1.3 გადახდის გრაფიკის ცვლილება შესაძლებელია სტუდენტის განცხადების საფუძველზე, ახალი სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადაში.

2. დეკანის გრანტი აკადემიური მიღწევებისთვის

2.2 სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს დეკანის გრანტით აკადემიური და დამატებითი მიღწევებისთვის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით ყოველწლიურად, სტუდენტის მიერ შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული წლიური კრედიტების ფარგლებში. აღნიშნული გრანტით სარგებლობის უფლება აქვს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, რომლებიც თითოეული სკოლის ჭრილში იკავებენ საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტებს შორის პირველ 5 ადგილს. 2 ადგილი განსაზღვრულია მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტისთვის თუ სკოლა მოიცავს როგორც საბაკალავრო ისე სამაგისტრო საფეხურის პროგრამებს, სხვა შემთხვევაში, საგრანტო ადგილების ოდენობა ივსება სრულად ბაკალავრიატის სტუდენტებისგან.

2.3 საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთა შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება ,,აკადემიური მიღწევებისთვის დეკანის გრანტის მინიჭების წესით”.

3. სწავლის სპეციალური/შეღავათიანი საფასური:

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სწავლის სპეციალური/შეღავათიანი საფასური, რომელთა მისაღებადაც სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სწავლის სპეციალური საფასური სტუდენტზე ვრცელდება შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე:

3.1 პირველი კურსის სტუდენტი, რომელიც ალტე უნივერსიტეტში ირიცხება საქართველოს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძელზე:

3.1.1 **უნივერსიტეტში** ჩარიცხვამდე პირველ პრიორიტეტად აირჩევს **ალტე უნივერსიტეტს** და ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების მიხედვით მოხვდება 1,000 (ათასი) საუკეთესო შედეგის მქონე აბიტურიენტის სიაში. აღნიშნულ სტუდენტებს სწავლა დაუფინანსდებათ 100%-ით სწავლის პირველი წლის განმავლობაში.

3.1.2 **უნივერსიტეტში** ჩარიცხვამდე პირველ პრიორიტეტად აირჩევს **ალტე უნივერსიტეტს** და ამასთანავე არის ოქროს ან ვერცხლის მედალის მფლობელი. აღნიშნული სტუდენტები დაფინანსდებიან სწავლის პირველი წლის განმავლობაში, სწავლის საფასურის 50%-ით.

3.1.3 სწავლაში ხელშეწყობისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტებისათვის დაორგანიზებულ კონკურსში დაიკავებენ I ან II ადგილს. აღნიშნულ სტუდენტებს პირველი წლის სწავლის საფასური უფინანსდებათ პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრული ოდენობით.

3.1.4 **უნივერსიტეტში** ჩარიცხვამდე პირველ პრიორიტეტად აირჩევს **ალტე უნივერსიტეტს** და ამასთანავე არის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებული. აღნიშნული სტუდენტები სწავლის პირველ წელს დაფინანსდებიან სრულად 100%-ით ალტე უნივერსიტეტის შემდეგ პროგრამებზე: კომპიუტერული მეცნიერებები, ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა, ბიზნესის ადმინისტრირება.

3.1.5 **უნივერსიტეტში** ჩარიცხვამდე პირველ პრიორიტეტად აირჩევს **ალტე უნივერსიტეტს** და ამასთანავე ერთიან ეროვნულ გამოცდებში კონკრეტულ პროგრამაზე არჩევითი საგნის (მათემატიკა ან ფიზიკა) მაქსიმალური ქულის მინიმუმ 60%-ს და მეტს მიიღებს. აღნიშნული სტუდენტები სწავლის პირველ წელს დაფინანსდებიან სრულად 100%-ით ალტე უნივერსიტეტის შემდეგ პროგრამებზე: კომპიუტერული მეცნიერებები, ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიტიკა, ბიზნესის ადმინისტრირება.

3.2 სტუდენტი, რომელიც მსახურობს საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო სამსახურში ან არის სამხედრო სამსახურში მომსახურე პირის ოჯახის წევრი (მეუღლე ან შვილი). ასეთ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს 15%-იანი შეღავათით სწავლის საფასურზე.

3.3 სტუდენტი, რომელიც გააგრძელებს სწავლას ალტე უნივერსიტეტის ერთი საფეხურის დასრულების შემდეგ მეორე საფეხურზე, სარგებლობს სწავლის საფასურის 10% იანი ფასდაკლებით.

3.4 სტუდენტის ერთი ან მეტი ოჯახის წევრი (და, ძმა, შვილი, მეუღლე) ასევე არის **უნივერსიტეტის** სტუდენტი. ასეთ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს 10%-იანი შეღავათით სწავლის საფასურზე.

3.5 ალტე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის შვილს შეუძლია ისარგებლოს 10%-იანი შეღავათით სწავლის საფასურზე.

3.6 უნივერსიტეტის თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ სწავლის საფასურის განახევრებული ოდენობით.

3.7 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაზღვრული სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი:

3.7.1 სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლის საფასურის გადახდის შეღავათიანი პირობები; კერძოდ, სტუდენტს, რომელსაც მინიჭებული აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი და, შესაბამისად, სახელმწიფოსგან იღებს დაფინანსებას, უნივერსიტეტი ახდენს სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულების გადავადებას შესაბამისი უწყებიდან თანხის ჩარიცხვის თარიღამდე, ხოლო ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტი აკადემიური რეგისტრაციის გასავლელად

ვალდებულია, გადაიხადოს სწავლის საფასურის მხოლოდ 10%, რომელიც, სრული დაფინანსების შემთხვევაში, გადადის ავანსად და/ან უბრუნდება უკან.

3.7.2 სწავლის სპეციალური/შეღავათიანი საფასური მოქმედებს შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე:

3.7.2.1 სტუდენტი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც დაავადებულია ქრონიკული დაავადებ(ებ)ით, საჭიროებს მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას და მოკლებულია სრული დატვირთვით (შრომის კოდექსის შესაბამისად) შრომისუნარიანობას, სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი ფორმა N50/2 ასლის წარმოდგენის საფუძველზე.

3.7.2.2 სტუდენტი იმყოფება/იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტის, რომელიც ადასტურებს, რომ პირი იმყოფება/იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ, საფუძველზე.

3.7.2.3 სტუდენტი არის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში ჩარიცხული ბენეფიციარი, ან თავშესაფარი დატოვა **უნივერსიტეტში** ჩარიცხვამდე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი უწყების მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე.

3.7.3 შემოსულ განცხადებასა და დოკუმენტაციას განიხილავს ალტე უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭო, რის შემდეგაც განისაზღვრება სტუდენტ(ებ)ი, რომელიც სოციალური სტატუსის საფუძველზე ისარგებლებენ სწავლის სპეციალური საფასურით, ასევე თითოეული სტუდენტის შემთხვევაში, სამიზნე ჯგუფების მიხედვით განისაზღვრება სწავლის საფასურის შეღავათიანი პირობებით.

3.8 დამატებითი შეღავათები:

3.8.1 **უნივერსიტეტი** უფლებამოსილია სახელმწიფოში შექმნილი ფორსმაჟორული (მიწისძვრა, წყალდიდობა, სტიქიური უბედურება) ან საგანგებო (საომარი და სხვა მდგომარეობა) მდგომარეობის დროს ერთჯერადად დააწესოს დამატებითი შეღავათები სხვა სტუდენტებზე.

3.8.2 სწავლის სპეციალური საფასური და შეღავათი შესაძლოა დადგინდეს **უნივერსიტეტის** პრეზიდენტის გადაწყვეტილებით და გავრცელდეს იმ პირებზეც, რომლებიც არ არიან ჩამოთვლილი წინამდებარე **წესში**.

3.8.3 იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი აკმაყოფილებს დაფინანსების რამდენიმე კრიტერიუმს/პირობას, მის მიმართ გამოიყენება დაფინანსების ის ფორმა, რომელიც სტუდენტს აყენებს უკეთეს მდგომარეობაში.

4. უნივერსიტეტის ფონდი და დაფინანსების წყაროები

4.1 უნივერსიტეტს გააჩნია საგრანტო ფონდი - ალტე უნივერსიტეტის ფონდი - გრანტებისათვის, საიდანაც ფინანსდება დეკანის გრანტი აკადემიური მიღწევებისთვის. ფონდის მიერ დაფინანსებული თანხის ოდენობა განისაზღვრება ალტე უნივერსიტეტსა და ალტე უნივერსიტეტის ფონდს შორის დადებული შეთანხმებისა და ფონდში აკუმულირებული თანხის შესაბამისად (შეთანხმება N2 შპს „ალტე უნივერსიტეტის“ რიგი სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ანაზღაურების შესახებ”).

4.2 უნივერსიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტით განისაზღვრება თანხა, რომელიც მიმართულია სწავლის სპეციალური საფასურით მოსარგებლე სტუდენტთა და/ან აკადემიური მიღწევებისთვის დეკანის გრანტით მოსარგებლე სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსებაზე.

4.3 შესაძლებელია, სწავლის სპეციალური საფასურით მოსარგებლე სტუდენტთა და/ან აკადემიური მიღწევებისთვის დეკანის გრანტით მოსარგებლე სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსება განხორციელდეს სხვა მესამე/გარეშე პირების მიერ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, **უნივერსიტეტი** აღნიშნულ ინფორმაციას დაამატებს წინამდებარე **წესში** და ამასთანავე, გააცნობს სტუდენტებს ელექტრონულად (ვებ-გვერდზე გამოქვეყნების ან სხვა გზით).

5. წესში ცვლილებისა და დამატების შეტანის პირობები

5.1 უნივერსიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე წესით დადგენილი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები. იმ შემთხვევაში, თუ ცვლილების მომენტში სტუდენტი უკვე სარგებლობს ფინანსური მექანიზმით, აღნიშნული ცვლილება მასზე არ გავრცელდება მიმდინარე აკადემიური წლის ბოლომდე.

6. გარდამავალი დებულებები

6.1. წინამდებარე წესი მტკიცდება უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს მიერ.

6.2. წინამდებარე წესი ამოქმედდეს 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.